სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

06/02/2026

MES 1 26 0000127107

ბრძანება

რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების ან გაერთიანების მიერ, რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში, საქმიანობის განხორციელების მისამართის შეცვლასთან ან/და მისამართის დამატებასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვის მიზნით ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 ივნისის №337 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი"-ს მე-5 მუხლის 7^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 5 თებერვლის№119814 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების ან გაერთიანების მიერ, რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში, საქმიანობის განხორციელების მისამართის შეცვლასთან ან/და მისამართის დამატებასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 9 თებერვლიდან 2026 წლის 2 მარტის ჩათვლით პერიოდი.
2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა